



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახსენებანი ზეზნითი. ზაქოვის უომელ კვირა დღეს.

№ 20

მაისი 7 1895 წ.

№ 20

შინაარსი: მხილველი ზეზნის ნეკროლოგი, წერეთლისა. — მგერელია ნამუშაო ავაკასა. — გადასეული, ღმერთი დასეული. — სხვა-და-სხვა ამბები. — სეურადღებო ამბები. — შენიშვნა ავაკასა. — ზენი მოვლითა გ. წერეთლისა. — ენვერის ღვათაშობის ტაძრის წანგრევი. — გავრით პასუხი ფ. მანაძესა. — სეჟონი ხელი, ე. პანოვისა. — კრიტიკური რევიუ ნ. ურდანიასი. — სხვა-და-სხვა გავრითი რესეპციისა — ორიოთხე სიტყვა თონელ ჰომარესსა და დომანესსა ზღაღ. ი. კოშკიძისა. — განცხადებანი.

† მხილველი ზეზნის მიხედვითი სეურადღებო



მი, კიდევ ერთი მსხვერპლი იმ აუტანელის გარემოებისა, რომელშიაც არის ჩამდგარი უმალღესი სწავლა-განათლების მიღება ქართველი თაობის მიერ, ავიდრე შევიყვანო შენ გონების სინათლესა, წინ დაეუღლა ბუნებასა შენსა აუტანელი წამებანი სტიქიონთა მძინეარებისა და მას შინა გასვლა უვნებლათ ელირსოს მცირესა ოდენ რიცხვსა თქვენ შორისა“ — ამას იტყვის ღმერთი მრისხანე, ღმერთი ასარი ქალღველთა, რომელმან საჯოს მართალი და ბოროტსა მხოლოთ მიანიჭოს სიამე ამა სოჯლისა. ასე სასტიკათ მოქმედებს ჩრდილოეთის აუტანელი ცივი ჰაევა სამხრეთის მცხოვრებლებზე. რამდენი ახალგაზდა ნორჩი სიოცხლები საქართველოს შევი-

ლისა უღროთთ მოუკლავს ჩრდილოეთის სასტიკ ბუნებას და წაურთმევია საქართველოს ერისთვის მისი მომავალი ნაყოფი. ამაზე ნათქვამი: „ერთი ხელით მოგცე შენ სინათლე და მეორე ხელით განეაქარე იგი სიბნელის უკუნი“.



მხილველი ზეზნის მიხედვითი სეურადღებო თვის სამშობლოდან ტანთელი, ცხოვრებით საესე ქაბუტი, მაღალი ნიჭიერებით შემკული, იმედო თვის ქვეყნისა, მოსკოვს უმალღესი სწავლის მისაღებათ; მაგრამ სამხრეთის თვილ ჰაეში აზრდილმა მისმა ბუნებამ ვერ აიტანა სიმკაცრე ცივის რუსეთის ბუნებისა. საემა იყო მისი ერთი ვაცივება, რომ სიმთელე მისი დარღვეულიყო და ტანში გაჩენოდა საოცარი სენი სიჭლებისა.

ქლექი, ეს დამღუბელი სენი კაცობრიობისა ვანა მრავალ ახლათ მოვლინებულ უბედურ-

† მხილველი ზეზნის მიხედვითი სეურადღებო.

ბასთან ერთად არ შემოგვეჩინა ამ საუკუნეში?... განა ჩვენ რომ კავკასიაში გეჰონდა უნივერსიტეტი, მიხაილ ზელთუფლიშვილი და მასთან ათასი სხვა ახალგაზდა ნაწარმოი ქართველი უღროთთ გვევლინებოდნენ ხელიდან? რამდენია მიხაილისთანა წინაპირი ქართველი ახალგაზდა რუსეთის კორპუსებში, ინსტიტუტებში და უნივერსიტეტში უღროთთ სახელთა მბარბუთნი? ნეტუ რა ცოცხა მიუძღვის ასეთი კავკასია, რომ უდაბური ციხიბრის ქვეყანა კი ვიღრსა უნივერსიტეტს და ჩვენ კი ერთი უმაღლესი სასწავლებელიც არ გვეღრსა, რომ ჩვენი შვილები ჩვენსავე ქვეყანაში ამთავრებდენ უმაღლეს სწავლა-განათლებას. ითხრეთ და მოგვეცესთა—ამბობს სახარების სიტყვები, ჩვენი ქვეყნის მეტათურნი რომ უფრო გულმხურვალეთ მოკიდებოდნენ ამ საქმეს, ჩვენს ხალხს რომ შეგნებულთი ჰქონდეს უმაღლესი სასწავლებლის დაუქმება კავკასიაში, თავისი წელიწადი არ დეშურათ შესაწირავთ ამის გულისთვის, გამოედეთთ თვით ქალაქებს, სხვადასხვა კავკასიის ტომებს, სხვადასხვა წოდებებს, საზოგადოებთა და მცხოვრებთა, უტყველა მაღელ შეიკრიბებოდა საკმაო ღონისძიება კავკასიის უნივერსიტეტის დაუქმებისათვის. თუ კი რამდენიმე ეპიკარმა შეიძღეს იმდენი ფულის გამოღება, რომ საკმაო იყო ციხიბრის უნივერსიტეტის დაარსებისათვის და მთავრობამც უფრო ვეღარ განაცხადა ისეთი კანონიერი მოთხოვნილების წინააღმდეგ, განა ექვსი მილიონი კავკასიის მცხოვრებლებისა იმდენს ვერ გამოიღებდა, რომ ერთი უნივერსიტეტი დაეარსებინა და ჩვენი მოხარდი თაობა რუსეთის უღრმობელი ჰების სიფიცებს არ შეწირვოდა მსხერბოლათ?...

მიხაილ ზელთუფლიშვილი გადაიკვალა ოცდაექვსის წლისა. იმან დაასრულა სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში და, როგორც საუკეთესო მოწაფეს, დაენიშნა სტაჟენდა მოსკოვის უნივერსიტეტში. მან უკვე მოისმინა რუა სემესტრი იურიდიულ ფაკულტეტზე და ჰქონდა ამის მოწონება, რომ სახელმწიფო გამოსაცდელ კომისიაში დაეჭირა საბოლოო ეგზამენი და დიპლომი მიეღო; მაგრამ სამწუხაროთ განა და ავით ინფლუენციით, ფილტვებუ დაუსუსტდა და იძულებული იყო ამის გამო საჩქაროთ დაბრუნებუ-

ლიყო თავის სამშობლოში. ინფლუენციამ დატოვა მის აგებულებაში ისეთი სიცოცხლის მოაწყველი თესლი, რომ მას აქეთ ის კარგათ ვეღარ შეიქნა. წელს ის ჩაგდო ლოგინათ მოსწარუებულმა ქლექმა და ლოგინიდან აღარ ამდგარა. წარსულ წელს ის ამირიის ქალაქის წვერათ, მაგრამ ავითმყოფობის გამო იძულებული იყო თავი დაენებებინა საზოგადო სამსახურისთვის. ქართულ ლიტერატურაში საზოგადო ყურადღება მიიპყრო მისმა საბუთთანა კრიტიკულმა გარჩევამ „ოთარანთ ქერეისა“.

მიხაილ ზელთუფლიშვილი ჯერ კიდევ უნივერსიტეტი იყო, რომ შესანიშნავი იურიდიული გამოკვლევა შეადგინა და დასტამბა რუსულს იურიდიულს მურნალთ სტატუა საქართველოს შვერთებზე რუსეთის იმპერიათთან. ამ თხზულებაში მან მეცნიერული დასაბუთებით დამტკიცა, რომ საქართველოს ერს, როგორც თავის ნებთ შვერთებულს რუსეთის იმპერიათთან, თვისი თვით-არსებობის განმამტკიცებელი უფლება არ დაუტარგავს საერთაშორისო საპოლიტიკო კანონმდებლობაში. მას ყოველთვის შეუძლია აღძროს რომელსამე საერთაშორისო მორიგებაში თავის ენაობაზე კითხვით. ამ თხზულებით მიხაილ ზელთუფლიშვილი თვალსაჩინო ნაბიჯი წაადგმევინა ჩვენის ეროვნების საქირბოროტო საქმეს. უკანასკნელ ჟამს ის წმირათ იმეორებდა შემდეგ სიტყვებს:

„თვალწინ მიყრჩიან ყუეთესნი ყვაილნი მტყნარნი, მოამიკვდა ექვ-ქემუ ცხოველ-მყოფელი თვით სასოება“.

აპრილის 23, ნაშუადღის საწ საათს ეს შესანიშნავი ქართველი ახალგაზდა სამუდამოთ გამოეთხოვა ამ წუთისოფელს. მის გასვენებაზე დასწრო მთელი ქუთაისის ქართველი საზოგადოება. ამხანაგებმა, მეგობრებმა და ზოგიერთმა ქართველებმა უძღუნეს მას სასწორათ მზავალი ცოცხალი ყვაილენით შემეკული გვირგვინები.

შესაფერი და შესანიშნავი ზედწარწერა ჰქონდა ქუთაისის წიგნების გამოცემელ ამხანაგობის მიერ მოძღვნილ გვირგვინს.

„ეინ უწიის, რადენი საუნჯენი დამარხებთ ჩენა, ეინ იცის, თანა რადენი წარიდუ უჭირნი, რადენ იმედთ და ნუგეშთა კოკრათ ყვაილნი ჩაქტენ შენს გულში განუშლულათ, ეგრე უღროთ“.

გ. წარუთელი

მეგრული ნაამბობი



მეგრული ნაამბობი! ღმერთმა კი მოაკცეს, ძველთგან კი აზნაური მგელი მე ციყავი გვირობით და დღესაც კიდე არა მი-

ქირს რა, მაგრამ თვალი კი დოუდგეს დღევანდელ უკუღმართობას, რომ ვასავალი აღარაფერს აქეს. ეინდა რა დაევიჯრა? რაც ხარ, ის ნულა იქნებოდა და რაც ვითხრათ, გინდა, თუ არა, ის იყავიო. მომადგა ერთი გადამთიელი და დამიჯრინა: „მეგრული ხარ შენ“

და ქართველთან საერთო არაფერი გაქვსო“. მეუ-  
 უტხოვია და ვუბასუხებ: მისთანას კი ნუ ბძანებ, რაც  
 სათქმელი არ არის-მეთქი. ყურძით, მართალია,  
 მეგრული ვარ, მაგრამ საზოგადოთ ქართველი ტო-  
 მისა ვარ და დღემდის ჰორცა და ლხანაც მისი სა-  
 ზიარო მქონია-მეთქი. ეს რომ მოვახსენებ, ისეთი შა-  
 მომიყვარა, რომ კინალამ სული ხორცით გამოყვარა:  
 „დღვის იქით აღარ ვაბეძო მაგის საქმა. ცოლად, რომ  
 მეგრული ვარ და ქართველებთან საერთო არა გაქვს  
 რაო“. რაღა გზა მქონდა, დავემორჩილე და მოვა-  
 ხსენებ: ჰო, ბატონო, შენი ჭირიმე-მეთქი. „მავას ნუ  
 ამბობ ქართულათ, მეგრულათ თქვიო“ — შამომიყვი-  
 რა. მოვახსენებ მეგრულათაც: ქო, ბატონო, სკანი  
 ჭირიმა-მეთქი. — ო, ო, ო! მაგრე არა ჯობდა, სულ  
 სხვა სიტყვებია და უფრო კეთილ-ხმადინიცო. ისე  
 ვიცხადებდნ მამის სული, როგორც მავას მართალს  
 ამბობდ. დამტყრული რომ მივლს ჯობდა და და-  
 ღრეკლი სწორს, ვის გაუგონა-მეთქი, ვამბობ ჩემ  
 გუნებაში და თანაც მეცივნება. „რას იღრიჭებო?“  
 მითხრა — „თქვენი ენისთვის ანბანიც სხვა გვარი ვა-  
 მოვიგონეო“. ვამიყვირდა და აკითხებ: წ, ძ, ძ, ე და  
 ამისთანის თუ არ ქართული ანბანით, თქვენი სი-  
 ტყეით რომ ვერ გამოთქვამთ-თქო? — ეგ არაფერიაო.  
 ქართულს კუდს გაუტყეებთ, რომ მისი ნამდვილი  
 სახე დაეკარგვიოთ და მეგრულათ გამოვიყვანოთაო“.  
 კი დაეპართოს, ვამბობ ჩემ გუნებაში, მაგრამ, ვი  
 თუ ბოლოს ორივეს კუდა მაკვირებოთ და თევიც  
 მოგიფიქრო-თქო. ვახსრება გადათხეილ და მოყვა:  
 „ჯერ სად არისო?!. სამღეთო წერილი გადავითარგმ-  
 ნეთ მეგრულათ, მაგ ახალი ანბანით უნდა დაგვბე-  
 ჭდითაო“. ეს კი ვამიყვირდა და მოვახსენებ: — აჰ, ეგ  
 არ მოხერხდება, ბატონო. ცხრამეტი საუკუნეა ქა-  
 რთულათ გვიწერავს და გვილოცავს და ახლა მაგის  
 გადადგმა სულ გაურჯულოება იქნება და არც გა-  
 მავა მეგრულათ სამღეთო წერილის სიტყვები-მე-  
 თქი. როგორ არ გამოვა; ჩვენ კიდევ გამოვიყვანეთ  
 და მოვიჩინეთო. წამოკითხა მეგრულათ გადათარგმნი-  
 ლი სამღეთო წერილი, მაგრამ მისთანა ვასაკონი  
 თქვენმა მტერმა გაიგონოს, მე მაშინ გავიგონებ: „ღმე-  
 რითი“ — „ლორანთი“, „ძე ღვთისა“ — „ლორანთის

სკულო“, „ქალწული“ — „უბოდიო“, „მერმე და მემ-  
 რმე“ — „უტყილი და უტყილიო“, და სულ ამგვარე-  
 ბით გამომიჭედა ყური. ვიციელე და ვიციელე; მა-  
 გრამ ვინღა გამაბეღინა?!. „ნართელის ჩაყოლილი  
 ჯობიაო“ — მითხრა და გამაწამა. ღმერთმა ისე თქვე-  
 ნი მტერი შეაწუხოს და დალონოს, მე ამ საქმემ  
 შემაწუხა ეს კიდევ არაფერი; ამას კიდევ ზედ უფრო  
 დიდ ქირი დაერთო: „თუ საბუთი არ წარმოადგინებ  
 აზნაური შეიღათაც ვერ გიცნობო“. ბატონო, ეგ  
 რაღა ბძანება-მეთქი, მამა-პაპიდან საუკუნოები გა-  
 რბიან, ცხოვრებაში აზნაურათ ყოფილენარ ცნობი-  
 ლი და ახლა უნდა გამაზურჯიკოთ-მეთქი „მეგრს  
 ნუ ლაპარაკობ, საბუთიო“ — დამიყვირა. მის; ბატონ-  
 ნო, მქონდა ერთი საგვარეულო საბუთი, მისთანა,  
 რომ ქვაზე რომ დავდევა, ქვას ვახეტოდა. დიდი ბა-  
 გრატ მეფის ნაბაძები. ზედ საბუთზე თერთან ბძან-  
 დება დახატული. სამეფო ბეჭედი ქვეშ აქვს დასმუ-  
 ლი და შუაში ასე წერია. ვინც ეს პირობა გატე-  
 ხოსო, წყუელი იყოს ღვთისაგან და ყოველი სასუ-  
 ლიერო წოდებისაგანაც შეჩვენებულიო. ვთქვი, ამ  
 საბუთს წინ რაღა უშეგნა, ვინ წაუვა-მეთქი და თა-  
 მამათ გადაეცეა ვადამთიელს. ერთი კი დახედა, უკა-  
 ნებ დამიბრუნა და მითხრა: „ეს წაიღე, ძმარში დაა-  
 ლებ და როცა თავი გეტკინოს, შუბლზე შემოიდგ-  
 ეია. ვერ ხედავ, რომ ეს ქართველი მეფის მოცე-  
 მულია და თქვენ კი მეგრულები ხართო. თქვენი ბა-  
 ტონები დაღანები იყვენ და იმათი საბუთო წარმო-  
 ადგინეო“. რას ბძანებ, ბატონო-მეთქი?! ჩვენი მე-  
 ფეებიც ქართველი მეფეები ბძანდებოდნ, დაღანე-  
 ბი მათი ერისთავები იყვენ, მათგანვე ჩვენ მოღრა-  
 ევებათ დაყენებული, და მოღურაის წყალობას ბა-  
 ტონის წყალობა არ ჰჯობია-მეთქი? ამისთანეები  
 კიდევ ბევრი რამ მქონდა სათქმელი, მაგრამ ერთი  
 შამომიბღვირა და მითხრა: „ნუ წაიგდია ენაო. შენ  
 ვინ გკითხავს, გოკს კული სად აბიაო. გეუბნები, რომ  
 არც ქართველი ხარ და არც აზნაურიო, მეგრული  
 ხარ და მეგრულათ უნდა ირიკოვო“. ახლა თქვენი  
 ჭირი შემეყაროს, მე არ ვიცი და თქვენ მაინც მა-  
 სწავლეთ, როგორ უნდა მეგრულათ რიკობა.

აკაკი

### გადახვეწილი

(გუგუნი ჩემს მეგობარს — ს)



თვისტომოთ, ობლათ, ოხრათ დავდივარ;  
 არც სამშობლოს, არც ძმას, არც თავს ვარ-  
 გივარ;

მაგრამ გძინობა, ძაღო, გული და სული  
 ჩემი მაინც სამშობლოა ტანჯული.

ჰოი! რათ მშვე? ღმერთო, ბედო, ბუნება!  
 ან რას მიქალ ჩემო უჩინო რწმუნება,  
 ნუ თუ შენს მსხვერპლს ასე ამდენ წვალებულს,  
 არ მაქმარი, აწ არ მომცემ სინანულს.

ღმერთო, შენ ხარ ყველაფრისა მცნობელი;  
 ავის, კარგის, გამსჯი გამსწორებელი,  
 შეისმინე ჩემი წრფელი ვეგრება!  
 მომანიჭე, რაც ჩემია — მტრებმა!

საცა ვიწვე, საცა ენა ჩაიღდგი,  
 საცა შენვე სული შენი ჩამიღდგი,  
 იქვე მომკალ, გინდა გლახა მთხოვარი,  
 მხოლოთ ეს მაქვს მე შენთან სათხოვარი.

რა დამბადე, დამსახე—გამაჩინე,  
 შენვე მიყმე, შენვე გადამაჩინე,

ნუ დამტანჯავ მე სხვის ძაღმომრებოთ,  
 ვინაგრები, ხედვე უსამართლობით.

უთვის-ტომოთ, ობლოთ, ოხრათ დაედივარ,  
 არც სამშობლოს, არც ძმას, არც თავს ეარავებარ;  
 მაგრამ გრძნობა, ძალა, გული და სული  
 ჩემი მაინც სამშობლოა ტანჯული.

სუცამბოლი

იასე რაჭველი

### სხვა-და-სხვა ამბები



ქუთაისი. 21 მაისს, სულიწმინდის მოთენის დღეს გაიმართება სახალხო სერიზობა ღირნი ქალების სასწავლებლის სასარგებლოთ. ამასთანავე იქნება ყმაწვილებისათვის წაუგებინებელი ბაზრობა. ეინც ინებებს ნიეთის, ანუ ფულის შემოწირვის ბაზრობისათვის, დიდი მადლობით იქნება მიღებული საქმის მმართველისაგან—მარია იე. ტიმინკო-რუბანისაგან.

\* \*

საჩხერის მახრ. ეს მახრა მეტათ უნუგეშო მდგომარეობაშია სასოფლო გზების ცუდ-მდგომარეობით. მთელი ზამთარი და გაზაფხული, როცა წვიმიანობა, არც ერთ სასოფლო გზაზე არ გაივლება. გზები სულ შეკრულია მგზავრისათვის, რადგან შარა გზებზე საფლობებია, საიდანაც ევრც კაცი და ევრც ცხენი ფეხებს ევრ ამოიღებს. ამ დროს მისელა-მოსელა მეტათ ვასკურია, მიმოდან გზებს-ს მაგიერათ ყანებზე და ეზოებზე. ამით ორნარი ზარალი აქვს ხალხს: ერთი რომ ყანებში ნათესობა და ახალი ჯეჯილი ითვლება, ხლოო თვით ხალხი შორე მოვლით დანიშნულ ალაგას დროზე ევრ მიაწვეს ხოლმე. თვითონ საჩხერის დაბის ოკოლებში და ბაზრის გზაში ხშირათ ცხენი და კაცი იფლობა და წერილი ოთხეფი იხრჩობა. ამას გარდა რადგან ადმინისტრაცია გზების გაყეთებას სოფლებიდან გარეშო მთებში და ტყეებში ყურადღებას არ აქცევს, ხალხი უშეშობით და ხეტის უქონლობით მეტათ გაჭირებულ მდგომარეობაშია ჩაცვინული.

\* \*

ღაბა საჩხერე. აქ თავად-აზნაურობა და ეპკრობა თითქმის ოთხი ათას სულამდის ცხოვრებს. აქ არის ორი შკოლა, პოლიციის საბოქაულო და მოპრიებელი. სასამართლოს განყოფილება, ერთი სიტყვით მაზრის სამოსამართლო და საადმინისტრაციო ცენტრი. ასეთ ალაგს, წარმოიღვინეთ, ფოსტა არ მიღის.

წერილი და ოფიციალური ქაღალდები ხშირათ ოკკირაში ერთხელ არ მიუღდით. ამ სახით ეს კუთხე სრულიად მოწყვეტილია ქალაქებიდან. უფოსტობის გამო სახერხის მაზრა, საცა ითვლება ოკოშიცა ათასი მცხოვრებამდის, ისე მოწყვეტილია ქუთაისზე და თბილისზე, როგორც ციმბირი რუსეთზე. ვანა შესაწყნარებელია ასეთი მდგომარეობა, მაშინ, როდესაც ქუთაისის გუბერნიას საქმეა გადასახადი შემოუღდის, რომ სასოფლო გზებზე კარვით დაკეთდეს და საცა არ არის, ფოსტებიც დაიმართოს.

\* \*

თბილისის საადგილ-მამული კრებისათვის ეექილობის წარდგენა ერთი კვირის ვადით არის გადაწყვეტილი კრების დაწყებამდის. ამ გარემოებამ ექილობების რიცხვი საქმათ შეამცირა. კრებაზე სხვათა შორის განირჩევა შემდეგი საქმეები: 1, სამოსამართლო ექილის დაწესება. 2, მუდამ წელს უნდა წარუდგეს კრებას ექსტრაორდინარნი თანვის ანგარიშები. 3, ზედამხედველი კომიტეტის საქმის წარმოების გაუმჯობესება, 4, თბილისის ქალაქის მამულების მართვის ხარჯი უნდა შემცირდეს ერთი მეოთხედით, 5, და გირანეობის ფურცლები უნდა მიეცეს ხელში მსესხებლებს.

\* \*

„ნოვ. ობოლ.“-ს გაუგონია, რომ ამ წელს კევკისის აქეთა მხრის რკინის გზის მოსამსახურეებს გამოსვლიათ საჩუქრათ სამოც-და-ხუთი ათას ზუთასი მანეთი.

\* \*

თბილისის ბანკის გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს შეუშუშებებია რამდენიმე პროექტი წარმომადგენლობითი წეს-წყობილებისა ბანკის საზოგადო კრებებში. იმათ პროექტებს საფუძვლიათ უღედის ის აზრი, რომ სათავად-აზნაურო ბანკის დამწესებელთა წარმომადგენლების რიცხვი რამდენჯერმე მეტი უნდა იქნეს მსესხებელთა წარმომადგენლებზე.

\* \*

კვირას, მაისის 7, მუშტაილის ბაღში იქნება წე-



რა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოთ გამოათა  
ლი ლატარია-ალეგრი, იმედია, ჩენი საზოგადოება  
არ მოაკლებს თავის თანაგრძნობას ამ საქველ-მოქ  
მელა საქმეს.

\*\*

გამოვიდა ახალი სახალხო წიგნაკი თვედრე  
დუჟადო, ისტორიული ამბავი თვედ. ცინცადისა. თუასი  
ერთი შაურია.

საყურადღებო ამბები



ქუთაისი. ქუთაისის ხმონებს წარსულ მარტის  
შუა რიცხვში კრება ჰქონდათ ამ კრებაზე, უნ-  
და გადაწყვიტათ მიღება ს. კლდიაშვილისა ქა-  
ლაქის „არხიტექტორის“ თანამდებობაზე. ს. კლდია-  
შვილმა გაათავა კურსი მოსკოვში. ამ ყმაწვილს ფუ-  
ლით დახმარება აღმოუჩინა ქალაქმა, იმ დროს რადე-  
საც ლ. ასათიანი ქალაქის თავით იყო და კლდიაშვილი-  
სთვის ავადმდებულო იყო ქალაქისთვის ემსახურა.  
ქალაქიც ამ მიზნით აძლევდა შემწეობას. უმეტესი  
ნაწილი ქალაქის ხმონებისა სიხარულით მოგლო-  
დენ ახალგაზდა „არხიტექტორს“ თავისუფალს ვა-  
კანსიაზე; მაგრამ, კაცის გარედან პირმკინარ-მატყუ  
არობამ და შიგნით ჭრელ გელურ უტულმართო-  
ბამ სულ სხვაფერ და უტულმა მოატრიალა სა-  
ქმე! კლდიაშვილი მწრალობდა დატოვებს! ეს ამბავი  
ჩენი ვასაკერათ მიგვანია! კაცი სწავლის-  
თვის ყიდის სახლ-კარს, მამა-პაპათვან დატოვებულს  
ადგილ-მამულს, სწავლას ამთავრებს, ღებულობს  
„რედაქციას“, რომ ყველა დარწმუნდეს მისი სწავ-  
ლის სინამდვილეში და შემდეგ უნდა რომელიმე  
თანამდებობას ხელი მოკიდოს მტკიცე ენერჯით,  
მსურველია როგორც თავის თავს აგრეთვე საზოგა-  
დოებასაც არგოს თავისი შრომა-მეცადინეობით; ად-  
გილი არის თავისუფალი, უჯამაგირო და უადგილო.  
სხვა არაინ თხოულობს, ამა, ამ მდგომარებაში  
მყოფი გინდ კლდიაშვილი იყოს და გინდ სხვა ვინ-  
მე, როგორა იფიქრებს, ვისაც სამი-ოთხი-ათასი მა-  
ნეთი უმისოდაც ჯამაგირი აქვს, იმას ადგილს მიცე-  
მენ და უჯამაგირო, უადგილო კაცს უხმით დატო-  
ვებენ! ისიც კიდევ მაშინ, როდესაც სწავლის უფლე-  
ბითაც არა აქვს დაბრკოლება. სწორეთ ამ გვარათ  
დაიმედებულნი იყო ს. კლდიაშვილი იმ დროს, რო-  
დესაც გააშავეს. ეფიქრობთ, მაგრამ ვერ ავეცხსნია, თუ  
რა საფუძვლით უთხრეს უფრო ამ კაცს! კრების დროს  
ზოგიერთმა წამოიყრანტალა: მაკ ჯერ გამოუცდელი-  
აო! ნეტაი სად უნდა გამოიკადღას ეს კაცი? სადაც თვი-  
სიანებში ვერ უშოგია თანაგრძნობა, სხვას რა პი-  
რით უნდა მიმართოს; ჩენში გამოუცდელიობის მი-  
ზეზით ადგილი არ მომცეს, თქვენ მომეცით ადგი-

ლი, გამოვიცდები და მერ ჩემს სამშობლოში მო-  
ვიცმენ ადგილსო! (ეს ხომ ჩენი ქუთათური ხმა-  
სნების საკუთარი ლოლიკა იქნება). მაღლობა ღმერთს  
კიდევ, რომ სხვაგან ისე არ იქცევიან ამ გვარ შემ-  
თხვევაში, როგორც აქ ჩენში. ამას შემდეგი გარე-  
მოება გვაჩვენებს:

ამათვან დაწინებულები ს. კლდიაშვილი, რომ  
დესაც უკანასკნელ კურსზე იყო, რაკი ნიჭიერათ და-  
ინახეს, იქვე მოსკოვის „უპრავეში“ დანიშნეს „უნი-  
სტკია არხიტექტორის“ თანაშემწეთ. მას ჰქონდა მი-  
ნდობილი მოსკოვის ობერ-პოლიციმესიტერის სახლის  
და კანცელარიის გადაცემება. ერთხელ კიდევ მიი-  
ქცია მან იქაურ „უპრავეს“ ყურადღება მით, რომ  
მან შეუტყუა სიყაბზე შენობის დროს „ულოდარჩის“  
რომლისც ვისაც მაღლობა მიიღო. რაკ კურსი და-  
სრულა, ის (ს. კლდიაშვილი) და კიდევ ორი „არ-  
ხიტექტორი“ დანიშნეს კოსტრომის გუბერნიაში და  
და კიდევ სხვა და სხვა ადგილებშიო, იმ სხვა-და-სხვა  
საშუალო ტენზიკურ-ხიმიკურ სკოლებისათვის აშე-  
ნიგული სახლების შესამოწმებლათ და ჩასაბარებ-  
ლათ, სადაც რამოდენიმე თვე დაეყეს და თვითრათ  
ათათ თუმანს ღებულობდენ. ახლა ვიფიქროთ: სა-  
დაც იმისთანა ქალაქში, როგორც არის მოსკოვი,  
ასეთი ყურადღება და ნდობა დაიმსახურა ს. კლდი-  
აშვილმა და ისიც სასწავლებელში მყოფობის დროს,  
ქუთათურ ხმონებისათვის რაღა გამოუდგარი შე-  
იქნა? მაგრამ ჩენში, როგორც მოგვხანებათ, გა-  
ძვერ-გამოძვერაობაა საჭირო და, ამა, ს. კლდიაშვი-  
ლი, სასწავლებლის სკამიდან წვიდა გრძნობით ახა-  
ლი წამომდგარი კაცი, განა ამ საქმეს მიყოფდა ხელს?  
ქართული ანდაზა ამბობს: „შინაურ მღვდელს შენ-  
დობა არა აქვსო“ და ასეც მოახდინეს! აუსუს მსკე-  
ლობაე!

\*\*

ქარაველის შვილი

სოფ. წყის (რაჭის მაზრა), ს. წესში ერთ მა-  
ღლობ გოჩაყზე, მდინარე ლუხუნის მარჯვნივთ ამა-  
რთულია ძველთვან ძველი ნაშთი „მინდა ციხესი“,  
რომელსაც დღემდე კიდევ ნათლთმერჩინია, ზოგან ცოტა  
ჩამონარეული და ზოგან მთელი კედლი. ამ უზარ-  
მაზარ ციხეში დღესაც მოიპოვება შეიღამდე ოთახი,  
ერთი პატარა ეკლესია, მრავალი ქვეერი და ერთიც


დიდი ჭური. ძველთაგან ვაღმოცემა რამდენი დღე წელიწადშია, იმოდენი კასრი ღვინო ჩადის იმ დღე ჭურშია. დიდი ჭურის გვერდზე არის იქითაქეთ ორი ჭა, რომელნიც დღესაც წყლით სავსენი არიან. ვაღმოცემა, ვითომ ჭებში რიონიდან უნდა შემოდოოდეს წყალი, მდ. რიონი იმ ჭებზე თითქმის ნახევარი ვერსის მანძილით იქნება მოშორებული. წელს აღდგომის კვირაში შალვა ერისთავმა წაიყვანა რაოდენიმე მუშა მინდა ციხეში და, ნანგრევულს მიწას და ქვითიერს თხრა დაუწყა. ნახევარი არშინი სიღრმე არ ექნებოდათ მოთხრილი, ცხის გულში, რ.იდესაც იპოვეს სამოცდათორმეტამდე ზარბაზნის ყუმბარები. წონით ზოგი 14 გირ. და ზოგი 13 გირანაქი. ვინ იცის დაქუტულს ქვითიერს ქვეშ მრავალი ძველი ნივთიც იქნეს! მაგრამ ჯერ-ჯერობით ყურადღება არაგის მიუქცევია მითვის. მრავალი ძველი ნაშთი დღემდე წმინდად არის დაცული რაჭის მაზრაში და მათზე მრავალი ისტორიაც ითქმის, მაგრამ ყოველივე უყურადღებოდ არის მცხოვრებთა დაუდევრობით. იმედია, ჩვენმა უცედავმა პოეტმა აკაკიმ რომ დაწერა ნასწავლი კაცების სიარული სოფელ-სოფელ, რაჭის მაზრასაც ესტუმრებიან და ზემდინვენით გაიკრიბენ ძველ ნაშთებს, მათზე თქმულ ისტორიას შეისწავლიან, შეგვარებენ ძველ ლექსებს, ლეგენდებს და სხვას.

ვანო ჭიჭი ნაძე

\*\*\*

იქიდანვე, ამ დღეებში მივიღე, ჩენი დაულაღვი ქართული წიგნების გამომცემელ ბ-ნ ზ. ქიქინაძესაგან ხელის მოწერა, რომელიც პატიეცემული

ს. დ-ძე



### შ ე ნ ი შ ვ ნ ა



ოლა-მასრადინი ენა-მჭეერი კაცი ყოფილა და ბეგრი მისი ნათქვამი ანდაზათაც დავარდნილა, მაგრამ ხალხს ეს რომ არ უტყარებოდა მისთვის, საუკუნოების განმავლობაში ვისაც კი რამე უთქვამს, სუყველას იმ საცოდად მოვალს აწერენ, ასე რომ მისი სახელით წიგნებია კეცა-კეცათ გამოსული. რასაკვირველია იმ წიგნებში მესადელ და მეთათსდელ არ არის მასრადინის ნათქვამი, მაგრამ ახლა ბეგრიც რომ იუაროს, საიქიოს რაღას გააწყობს. უნდა იტყვიროთ საბრალლო მოლამ სხვების სისულელე და უშარილო ოხუნჯობა.

რაც ამ მოლა მასრადინს სიკვდილს შემდეგ მოუვიდა, ის მე სიკაცხელშივე მიმართება: ისეთ რამეებს იმეორებენ ჩემ ნათქვამთ და ჩემ ნაკესებს

მა ქიქინაძემ გამართა „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიის“ დასაბუქდთ ღონისძიების მოსაპოვებლად; დაბეჭდას შემდეგ ყველა ხელის მომწერთ თითო ცალი წიგნის უფასოდ აღლუქვათა, სწორეთ ამ ხელის მოწერამ მომავლია ერთი ძველი ამბავი: ამ ოთხი წლის წინათ ამიერკავკასიის რკინის გზის სად. ქურდამირმა მსახურობდა ერთი ახალგაზდა ქართველი, რომელმაც მოკვართა თხოვითი — ერთი კარგი მოთხრობა დამოთვთარგმნე ილდათ სასარგებლო, განსაკუთრებით მოსწაყელ თაოზისათვის (სახელათ მგონი „შეგერდის დღურა“ უწოდა), მაგრამ, რომ დავაბეჭდინოა შეძლება ნებას არ მადლესია; თუ დამეხმარებთ ნივთიერათ, დაბეჭდას შემდეგ თითო წიგნს უფასოდ მიიღებთო, სხვა სადგურის არ ეციე და მანჯის სადგურის ქართველობამ კი 16, თუ 20 მანეთი (კარათ არ მახსოვს) ვადაცეციო. მას შემდეგ, ავერ მეოთხე წელიწადია და ზემოხსენებულ წიგნისა არაფერი ისმის; აღარც მთარგმნელი ბრძანდება რკინის გზის სამსახურში, რომ დაეკითხებოდით; ამიტომ იმედია ამ შენიშვნას შემდეგ პატიეცემული პირი გვაცნობებს ვაზ, იეგერის“ ან „კვალის“ საშუალებით, თუ რას მოხმარდა ზემოაღნიშნული ფული. იქნება ვინმე იფიქროს, რომ ჩვენ ენოეთ მარტო იმას, — წიგნებს დაგვირდენ და აღარ მივიღეთ? სრულებითაც არა! ოღონდ კი დაიბეჭდას, კეთილი მიზნით გამოცემული წელილი დანიშნულებისამებრ მოხმარდეს და ჩვენ მზათ ვართ, ხელმეორეთ ფულით ეციოდით, თუმცა სიმაართე რომ თქვას ცაქმა, ამნაირი დაპირება და მერე მოტყუება დიდ დაბრკოლებას გვიყენებს წინ, რამე საქველ-მოქმედო მიზნით ფულის მოგროვების დროს.

აკაი

### ჩვენი მოვალეობა




მ დღეებში ვახეთებმა მოგვიტანეს ამბავი რომ ენგერის მეცნიერნი ემზადებიან კავკასიაში მოსასვლელათ. მეცნიერი ზიხი ეს ორი კვირაა უკვე გამოიგზავრებულა ენგერის სატა-ბტო კალაქიდან ზუღადმწერიდან და, საცა არის, კი-ნდე მოაწებს ჩვენში. მას მოყვება პროფესორები ბალინტი და ჩადეკა, არხეოლოგი ოზინსკი და სომხის მწერალი ჩილინგარიანი. ამათ თფილისში და-ხედებიან რუსის მეცნიერები ვეიდენბაუმი, კულბერ-გი და რადდე. აქვე მათ შეუერთდებიან ორი სომ-ხის მეცნიერი, რომელნიც კარგი განვითარებულნი უნდა იყონ სომხეთის საეკლესიო ისტორიის ცო-ლნაში.

ენგერელი მეცნიერების განზრახვა, აღმოაჩინონ უძველესი კვალი ენგერის ერისა კავკასიაში: ისინი დარ-წმუნებული არიან, რომ უნგარი, ანუ მაკარ ნი, უნ-და ყოფილიყონ გამოსულნი კავკასიიდან. ამ გვარი ძიება და გამოკვლევა ევროპის მეცნიერებისა ერთ-ხელ კიდევ გეიმტიკებს იმას, რომ ევროპის განა-თლებული ერები თანდათან დიდ ყურადღებას აქცე-ვენ კავკასიის და კავკასიის ნიადაგზე უძველეს დრო-იდან დაბინაყებულს ერებს. ამათ შორის პირველი ადგილი უჭირავს კულტურული მხრით ქართველებს. მაგრამ თვით ქართველები გრძობენ, თუ არა საკი-როებას, რომ თავისი თავი გააცნონ ევროპას? სხვა რომ არა იყოს რა, მარტო შემოსხენებული ცნო-ბაც ვახეთებისა გეიმტიკებს, რომ ქართველები ამ მხრით ჯერ კიდევ ძილის ბურაწში არიან და ყვე-ლაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი თანა-მედროვე მოღვაწეები და პერიოდული გამოცემები არც კი გრძობენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერის მეცადინეობას, რათა მოიპოვოს რომლისამე უცხოეთის სახელმწიფოს სიმამტია თავისი ეროვნუ-ლი კულტურის გაცნობით. ჩვენი ესრეთ წოდებუ-ლი ნაქები პუბლიცისტები და პოეტები სულ სხვა-გან იტკირებიან; ჩვეულებრივ იმათ მიუყვრიათ თვა-ლები მხოლოდ ზნეულებსავე, საიდანაც ოღანვე გა-მაცოცხლებელი შუქიც აღარ არის მოსალოდნელი. ამ მხრით ჩვენის ერის დაახლოებებს ევროპასთან ისინი ჩვეულებრივით ეძახიან ფნტაზიის ნაყოფს და მეთაურ წერილებში გაიძახიან: სხვა მხრით გაეშუ-როთ, იქ არის ჩვენი ხსნაო. არ მოგვეცეს სიკვე, ამ ჭკუით არ იქცეოდნენ ჩვენი მეზობელი სომხები. იმათ თვლი ვაფაცრებულნი აქეთ ევროპისკენ და დაიძიებთ თუ არა იქიდან ეინმე კავკასიის შესასწა-ვლათ, მაშინვე წინ დაუხედებიან, ცდილობენ ხელ-


გაშლილი მასპინძლობით მათი გული მოიპოვონ და უხსნიან მათ თავის ისტორიულ საუფჯეს, უთითებენ თავის კულტურულ კვალზე, აგებიბენ თავის მნი-შენელობას კავკასიაში. მუდამ თან დაწყებიაან, არა-ვითარ ნიეთიერ ღონისძიებას არ ზოგვენ, რომ თა-ვის ერის მდგომარეობა კარგი თვალთ დაანახონ და ამ მეცნიერი მოგზაურის მეზებით მეგობრული თანაგრძნობა აღძრან ევროპის სახელმწიფოებში. ამ შემთხვევაში ყოველი მდიდარი სომხის ქისა ვახსნილია, მისი ეკლესვა და სამღვდლოება მომზადებულია წილილის გამოსაღებათ. ახა, ენახათ, როგორ ეიქცე-ვით ამ დროს ჩვენ, ჩვენ ქართველობა? — წარჩინეუ-ლი გვარის შვილები ან ადგილ-მამულს ყვიდით უცხოელებზე, რომ ქეიფში, ნადირობაში, კარტის თამა-შში და ღვინის სმაში ახოვრიტათ რაც მამა-პაპეულის გაყიდვით ფულებით მივიღეთ. მამ ეინლა არის ჩვენ-ში გულ-შემბატყვარი?... დავერბა მშვიდრი და ლა-ტაკი ინტელიგენცია, რომელსაც პრამც თუ შუე-ძლია წინ მივებოს ევროპის მეცნიერთა საქმებურ გულისწადილს ჩვენი ქვეყნის გაცნობისათვის, გაპ-ყვეს მას, აუხსნას ჩვენი წარსული ნაშთი ისტორიუ-ლი ცხოვრებისა, არამედ დღიეური ლუქმის შოვნაც სამძიოთ მიანიშნა. ამ შემთხვევაში ერთათ-ერთი ღო-ნისძიება დაგვიჩენია, რომ ჩვენმა საზოგადო საკრე-დიტო დაწესებულებამ უსაგძლოს ჩვენს მეკლდეა-რებს და ჩვენი ქვეყნის მკოდნე კაცებს საკმაო ნიე-თიერი საშუალება, რომ ევროპის მეცნიერებს უთანამ-გზავრონ ხოლმე და საკმაო ცნობა შევარტვიონ მათ ქართველების ცხოვრების შესახებ. მართლაც ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი და ფულით შემცდმ მე-თაური კაცები რომ გვივარგოდნენ, კიდევ უნდა მიი-პატივონ ხოლმე ასეთი პატივსაცემი სტუმრები თა-ვიანთ ოჯახში, გააცნონ ჩვენს ინტელიგენციას, გაა-ტანონ მათ სამგზავროთ მკოდნე კაცები, როგორც ამას ახერხებს ხოლმე თვით რუსის მთავრთა-ერთი მხ-რით და სომხის საზოგადოება - მეორე მხრით. დროა დავაჯროთ ჩვენი თავი, რომ თუ ჩვენ თვითონვე არ გამოვიჩინეთ თავგანწირულება ამ მხრით და, ეი-საც ჩვენვანს შევძლია, ნიეთიერი და გონებრივი ღონისძიება არ ვინმართ ხოლმე, სხვა უც-ხო ეინმე ჩვენთვის რათ იზრუნებს? ის კი არა, უფროც ეცდება, რომ ჩვენი ეინობა და ჩვენ-ზე ხსოვსა ევროპელებს თავშიაც აღარ მოუვიდეს: დღეს ენგერელი მეცნიერების მოსვლა კარგი შემ-თხვევაა, რომ სომხების წარმომადგენლებთან ერთათ ჩვენი ქართველი მისტორიენიც გავადგენით. მაგ-რომ ენახათ, რა ზომას მოიხმარებენ ჩვენი საკრედი-ტო დაწესებულებანი და ჩვენი შეძლებული ქარ-თ-ველები ამ საქმისათვის?...

გ. წერეთელი



ჩრდილოეთის კარის ზედა ქვიშის ტიპისა





დასავლეთის კანის ბეჭე ეზვევის ტაძრისა.

### ეხვევის ლეთის-მშობლის ტაძრის ნანგრევი

(ბ. წერეთლის არქეოლოგიურ ექსკურსიიდან ევიზის სკოლაში)

**ბ**ეჭვიანიდან ხუთ ვერსზე ყვირილის ხეობაში მარცხნივ მდინარის ერთ ტყთან მთის ფერდზე მდებარეობს ძველი ტაძარი. სენაკების ნანგრევები ტაძრის ვარშემოა გვიმტიკცებს, რომ აქ უნდა ყოფილიყო მონასტერი და შკოლა. ტაძარი წარმოადგენს ბაზილიკის შენობას, რომელსაც შემოხვევია დასავლეთით და ჩრდილოეთით ექვსი მკვეტრი ხუთ კუთხიანები. „ეკლში“ დახატული დასავლეთისა და ჩრდილოეთის კარის ბეჭენი თავისი ჩუქურთმით წარმოადგენენ ფრიალ ძვირფას ნაშთს უძველესის ქართულის ხუროთ-მოძღვრებისას. ეს ორი ფასადი კარის ბეჭისა სულ სხვა-დასხვა ქანდაკის მოტივებით არის გამოყვანილი. ჩრდილოეთის ფასადზე ბეჭის თავზე არის ჯვარი, გრეხილით გამოქანდაკებული, რომელსაც სიმბოლურათ ფესვები განედლებია და გამოხლდა შევნიერი ნაყოფი, ფოთლებით შემკული. ეს ფოთლები წარმოადგენენ სიმბოლურათ სამებას; თალში. ჯვარის ორივე მხრით გადმოკიდებულიან ტენება, სიმბოლო ქრისტეს სარწმუნოების სიტკბოებისა. ფასადის სვეტებზე აკანტის ფოთლებს შუა გამოქანდაკებულია ბისონით შემოსილი მგფე; რომელსაც ხელეობი აღუყრია ზეისკენ, ვედრების ნიშ-

ნათ. დასავლეთის კარის ბეჭის ფასადზე კიდევ უფრო განსაცვიფრებელი წინდა ქანდაკია მოპირილი. ბეჭის თავზე შესწანიწნავია ამართული ჯვარი, რომლის საზე წარმოადგენს განსხრეებულ მგფეს, კვარცხლბეკზე დაყენებულს. ბეჭის მარცხნივ ჩანს ქანდაკით მოპირილი მთავარ ანგლოზი, რომელიც კარის გუმბათ არის დამდგარი. ამ ჩვენ ნახატზე არც მთავარ-ანგლოზია გამოხლული და არც ბისონ შემოსილი მგფე. საზოგადო შთაბეჭდილება ამ ფასადების ქანდაკების ისეთია, თითქოს ვისმე ქვის კვლებზე მიეფარებინოს მეტათ წმინდათ ნაკსოვი კრუფეფო. საზოგადო შთაბეჭდილება ეხვევის ტაძრისა კი მიემზავცება ვარკელაეს, თითქოს ციდან მოწყვეტალს და დედა-მიწაზე განართხულს. შიგნით კანკელი ჰქონია ამ ტაძარს მარმარილოსი, მაგრამ მისი მოქანდაკებული ფილაქნები წერეთლებს წაუღიათ ჯრუქს, როგორც შეუტყვია ადგილობრივი მოხუცებულის გლმეზბისაგან ბ-ნ გ. წერეთელს. კანკელის ნანგრევებში კიდევ დარჩენილა რამდენიმე მარმარილოს სვეტები და ერთი ფილაქვანი, ზედ გამოქანდაკებული ჯვრით. კანკელის სიძველე ამტკიცებს, რომ ტაძარი უნდა იყოს აშენებული მეტკებე, თუ მეფე საუკუნეში.

ტაძრის აღმოსავლეთის ფარჯრის სვეტ-ს საფეხურზე მარცხნივ არის არახული ფორმის ხუცური ასოებით ზეწარწერა: ქე. შე. ლგ. (ქრისტე შეიწყალე ლოგოთეთ (?), თუ ლეონ, გიორგი?).

### გაკვრით პასუხი

**ბ**ხოვრებამ და გამოკვლივებამ დიდა ხანია დაგვარწმუნა, რომ ერთი აზრის მფარვესთან შეფარდება და შეჯობრება მეტ-ს თუ ნაკლების სისწრაფით გვახლოვებს ქვემარტებისათა; მაგრამ როცა ერთს რომელსამე გამოაკვეთულს და ნათლათ გამოთქმულს აზრს შეუფარდებენ არა აზრს, არამედ მართო სხვა-დასხვა ფეროვან სიტყვების აქეთ-იქით რახარუხს, ე. ი. ყოვლად უაზრობას, მაშინ სწორეთ დიდათ დაბრკოლებულია ქვემარტების კვლევა ძიების საქმე. ამჟომაც ყოველივე ქვემარტების მკვლევარი მოხარულია, როცა მის მიერ წარმოთქმულის და გამოაკვეთულის აზრის წინაშე დაუყენებენ პირდაპირ მის საწინააღმდეგო აზრს. ცრუ იქნება ეს უკანასკნელი, თუ მართალი, ეს სულ სხვა კითხვას შეეხება, ოღონდ ნათლათ გამოთქმული კი

უნდა იყოს, რომ შევიძლოთ მისი ასე, თუ ისე გარჩევა და დაფასება. საუბედურით, როგორც ჩვენ, ჩვენი მხრით, ეუკვირდებით ჩვენი ჟურნალ-გაზეთობის, თუ ეგრეთ წოდებული პუბლიცისტიკის მიმდინარეობის საქმეს ამ უკანასკნელ წლებში, ის (ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა) აცდენია ამ სანატრელ გზას და უგზო-უკვლით დახეტიალობს ჩვენი მწერლობის ხელ-უხლებლად არე-მარეში.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ (სულ ერთი წელიწადია), რაც ჩვენს მწერლობაში ჩამოვიარდა საუბარი კარლ მარქსის მოძღვრების შესახებ. მრავალი სენით დასწულეებულმა ჩვენმა საზოგადოებამ და უმეტესათ მწერლობამ აქაც გამოიჩინა ერთი თავისი ყველაზე უდიდესი სენი — უზსრბა. მათათლი, ეიმეორებ, მას მერამე დიდი ხანი არ ვასულა, მაგრამ ნათქვამია: სახეირო ხარს.... და სხვა... გამოითქვა თუ არა ს. ჯიბლაძის მიერ კ. მარქსის შეურყვევლი ქვემარტება კაპიტალისტურ წარმოებაზე და მის

განვითარებამ, ჩვენ ყოყონ-ყოყონა პუბლიცისტებმა მაშინვე მოიქციეს სახე განზე და მის მაგიერ, რომ რაიმე ნაირი, ცოტათ თუ ბევრათ, გამოარკვეული და ნათლათ დასახული აზრი გამოეთქვათ მარქსის საზოგადო თეორიის წინააღმდეგ, დაყოყონილდენ დიდი ხნიდან სხვების მიერ წარმოთქმული დახსენებული და დამალა სიტყვების განმეორებით.

რამადენიმე ხანია, რაც ჩვენი აწინდელი საზოგადოების ეთიარებათა შესწავლას შეუდგებო. მე მსურს გამოვიკვლიო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უძღურება წარსულში და აწმყოში, დაუსახელო მისი უმთავრესი მოვლები. \*) ამ მიზნის მიხედნეით ჩვენი აუცილებლათ საქირაო დიალექტიკური მატერიალიზმის განმარტება, სხვათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ საცალალო კითხვას, თუ რა გზას ადგას დღეს ჩვენი ქართველობა, მთელი ქართველი ერო, ნებისთ თუ უნებლოთ. ყველა ლაღებთ თუ რა—ღებთ იქ ნახეწ თაჟიანთ პასუხს დაწერილებით და გარკვეით; მაგრამ ეს არაფერს დაუშლის, თუ დღეს დღეობით რამოდენსამე სიტყვებს ეუძღვრებთ ბან ე. წ.—ს, რომელიც „იერიის“ ფურცლებზე უცხადებს ქვეყანას თავის უგზო-უკეობას და უმეტრებას. დანაშაულთ ნუ ჩაეთელი, მკობელი, თუ სიტყვამ დღესვე მოიტრანოს ბანი ლალიო, რადგანაც ამასაც ეტყობა მიდრეკილება ამ უგზო-უკეობისაკენ და რადგანაც ბანი ე. წ.—იც ესარჩლება მას.

მე მაქვს სახეში დღეს მხოლოთ ერთი წერილი ბან ე. წ.—სა, სახელდობ: „არსებობს თუ არა ჩვენში კლასთა ბრძოლა?“ (იხ. იერიას \* 95 წ. № 73). შეიძლება ბან ე. წ.—ს სხვა წერილებიც ემეტლოს, მაგრამ მე იმათ აღარ გამოუღებებ; სამწუხაროთ ეს ერთი წერილიც ბევრს მასალას იძლევა ავტორის უგზო-უკეობაზე და უმეტრესათ მისი ლოდიკის სისუსტეზე. მამ პირველათ ეიკთხოთ: ეინა, რას გეასწავლის ბანი ე. წ.? აი, თეთთ ე. წ. წარმოადგება ჩვენს წინამე და გავაცრებათ თავის სწავლას: „მე ეამზობდო—გვეუბნება ის—რომ ჯერ ჩვენში საბაშინო წარმოება არ არის. ბ. ლალი ამზობს ამასვე, თუმცა სხვა სიტყვებით, ე. ი. ჩვენში კაპიტალიზმი არ არსებობს. ბანი ჟიბილიკი წინააღმდეგ: ლადრეს“ (სხვა ასოებით დაბეჭდილი ჩვენია). შემდეგ ბანი ე. წ. გვეუბნება, რომ „ჩვენს ხალხს ჯერ კიდევ ფეხი მაინც ნატურალისტურ წარმოებაში უღვია, რომ ჯერ კიდევ მარჯეთ ხელი ჩაგვიკიდნია ნატურალისტური წარმოებისათვის, რომ

ნატურალისტურის წარმოების სამფლობელოდ არ გამოუყურებართ და არც საქირაო, რომ გამოვიდეთ ჯერ-ჯერობით“. ამას შემდეგ ბანი ე. წ. თანაშით ბანი ლალის განაგრძობს, რომ ჩვენში ახლა წერილი მესაკუთრე მეტია, ეინემ მსხვილი, და რამ წერილი მიწათმფლობელობა იქნება უპარატესი ეორმა ჩვენის ეკონომიურის მდგომარეობისა... „ჯერ-ჯერობით—მოავითხრობს კიდევ ე. წ.—ჩვენი ხალხი მარჯეთ არის ხელო-ჩაკიდებული ნატურალისტურ წარმოებას სხვა არა იყოს რა, სარჩო მაინც მოპყავს და დიად, ეს დიად ღეთის წყალობაა ჩვენთვის, რომ ყოველიფერი საყიდელი ჰქონდებ ჩვენს გულს, რომ მხოლოთ ფულზე იყოს იგი დამდვარი, მამინე... „კაპიტალიზმი, ე. წ.—ს სიტყვით, მხოლოთ ევროპაში და ამერიკაში არსებობს, სხვაგან იმან, შეიძლება, თაჟის დღემაც“ ეერ იხეაროს. ამ სურათის შესაცხებლათ, საქირაო კიდევ ეიცოდეთ, რომ ბანი ე. წ. „კაპიტალიზმს ჩვენ მტრათ აღიარებს“ და მას უცხადებს სასტიკ ბრძოლას სულ ახალი იარაღით. ე. ი. „კოპერაციით სამაშინო წარმოების საუფქველზე, ძმური (!) შეერთებით ყველასი განუზრეველათ წოდებისა და სიმდიდრე სიღარიბისა“; „ეს იქნება გამოსადევი ყველასათვის: თაჟადისთვის, გლენისთვის, ჩარჩისთვის და სს., და თუ ჩვენში შინაუში ბრძოლა ატყდ, ეს იქნება მხოლოთ ჩვენი უმეტრების შედეგო“. ამ ნაირ ქცევას, თურმე ნუ იტყვით, „პროკრესი“ ეწოდება. მამსადადემ ეინ თქვა, რამ მოიტანა: სიდაური კლასთა ბრძოლა ჩვენში? ჩვენში მდიდარი და ლარბი, ფამამძლირი ჩარჩი, თუ მოეახშე და მათი საწოწელი ლატაკი და გინდ კაპიტალის პატრონი და მშრომელი ხალხი, ყველა ამათ ბრძოლა ერთია, ყველანი ერთ ტაჟაში იხრაკებან. ამისათვის, რა უნდა ჩვენში სხვა-და-სხვა დასებს? ჩვენში ერთი დასი უნდა იყოს, ერთი აზრი უნდა ტრიალებდეს. აი, ბანი ე. წ.—ს უკანასკნელი დასკვნა! მაგრამ ამამ ევრაჟერი ორიგინალობა გამოიჩინა ავტორმა. სხვებს რომ თაჟი დაეანებოთ ბანი ფელეტანისტი ლალი ამავ დასკენამდე მივიდა (იხ. ამ წლის „იერიას“ №. 15 წ. № 6. \*)

აბა, ერთი დაუტყობელი, მკითხველო, ამ საგანს და განსაჯე, თუ რას მისაწავებს ჩვენი ყოყონ-ყოყონა მწერლების ქადაგება იმის შესახებ, რომ ჩვენში არ უნდა არსებობდეს სხვა-და-სხვა დასები, გარდა ერთი იმათ მიერ გამოგანილიისა, რომ ჩვენში რაღაც ნაირი გაუგებარი საწაულის მეოხებით ცხოვრების ჩარჩი მდიდრისთვის და ლატაკისთვის სულ

\*) რამეწინამე ნ. კორდნანდ შეესო ამ საგანს თავის საყრდნელო წერილში „ეკონომიური განვითარება და ეროგება“ (იხ. „მოამე“ №. 15 წ. № 6.)

\*) შეადრე მეთაური წერილა მისივე ამ წლის „იერიას“ 15 ნომერში.


ერთნაირათ ტრიალედდეს. რასაკვირველია, ცხოვრება, როგორც ამოხბს ს. ჯობლაძე, ნა—ლებს კიარა, თვით ნალების მკედლებსაც არ ეკითხება, ისე მისწრაფება იმ გზისკენ, საითკენაც მას მიუთითებენ განსაკუთრებით და განსაზღვრული კანონები ისტორიული მოძრაობისა, ხალა ჩვენი უსუსული პუბლიცისტების ზღიპინი და გოადება აწინდელ საზოგადოებრივ კლასთა შუა განხეთქილების ჩამოგარდნის თაობაზე მარტო იმათ უმცირებას, მარტო იმათ ცხოვრების სრულიად არ ცოდნას მოასწავებენ. ადამიანთა საზოგადოებამ არ იცის იმისთანა ხანა თავის წარსულს ცხოვრებაში, როცა რომ არ არსებულყოფს წოდებათა, თუ კლასთა შორის, მგერა თუ ნაკლები, განხეთქილება და წინააღმდეგობა, ცოტათ თუ ბევრათ გამოაშკარავებული ბრძოლა სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ წოდებათა შორის. ჩანაირიც უნდა იყოს ვარგვანი შენობა საზოგადოებისა, ჩანაირათაც დაკლავნილი და დახლართული იყოს ბრძოლა მასში სხვა-და-წოდებათა შორის, ჩვენ ახლა ნათლათ შეგვიძლია ვავა—ჩითოთ მასში ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდება, ანუ კლასი: კლასი გამარჯვებულთა ანუ სხვისი ოფლით და შრომით მადარათ (რიცხვით ნაკლები) და კლასი დაბარულთა (უმრავლესობა). მარტო პირველ ყოფილ საზოგადოებაში ვგრეთ წოდებული არხალეი კომუნისმის არსებობის დროს დასაბუთებით შეგვიძლია აღვიპიროთ, რომ ამნაირ განხეთქილებას არ ჰქონდა ალავი, რადგანაც იმ დროს თვით საზოგადოებრივი წოდებებიც არ არსებობდენ. მაგრამ მას აქეთ, რაც შრომამ იწყო თანდათან განვითარება სოციალურათ და მით შეიქმნა სიმდიდრის და კულტურის წყაროთ, მშრომელის მხრივ იწყო აგრეთვე განვითარება სოციალავემ და უმცირებამ, მუქთა-ჰამიას მხრივ კი პირიქით უფრო და უფრო განვითარდა და გაუძღურდა სიმდიდრე და კულტურა. c'est la loi de toute l'histoire jusqu'a nos jours: (K. Marx. Revue d'economie politique, 1894. une lettre de K. M.). ჩვენი დროის წარსულ დროებიდან ვანსხეავება უმთავრესათ იმაში მდგომარებას, რომ თუ ერთთ მხრით, განხეთქილება და ბრძოლა ორ საზოგადოებრივ კლასთა შორის სულ უფრო და უფრო გამწვავდა, მეორე მხრით, რასაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს, შრომის წარმოადგენელთა შორის სულ უფრო და უფრო თვის იდგამს თავის თავის მდგომარეობის შეკვნების საქმე, დაწინაურებული ქვეყნებში მიანც. აი, რაში მდგომარეობს უმთავრესი თავდები უმრავლესობის ბედ-იობლის გა-

უმჯობესობის საქმის აწყოში და მომავალში. ბ. ბ. ვ. წ—ებს, ლალებს, თუ ნა—ლებს რომ კითხოთ, იმათ პოლიტიკური ეკონომიაც კი შეუსწავლიათ, მარქსის თეორიის არსებობაც კი შეუტყუეთ და მათი სიტყვით მათ მოწინააღმდეგეთ მთელი ახალ-ალბრძინებელი მეცნიერების ანბანიც კი არ ესმის. მაგრამ ვაი მათ, თუ სულ ამის წინააღმდეგი გამოდგეს! მოისმინეთ:

